

# საქართველოს კანონი

## ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ

### მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი არეგულირებს ძირითად სამართლებრივ ურთიერთობებს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნის, მართვის, დაცვისა და გამოყენების სფეროში.

2. ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისათვის მიკუთვნებული მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების განკარგვასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

### მუხლი 2. კანონის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. ამ კანონის ძირითადი მიზნებია:

ა) უზრუნველყოს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების შექმნა;

ბ) მოაწესრიგოს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების სამართლებრივი მექანიზმი.

2. ამ კანონის ძირითადი ამოცანებია, ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში:

ა) უზრუნველყოს სამხრეთი საქართველოსთვის დამახასიათებელი ბუნებრივი ეკოსისტემებისა და ლანდშაფტების, ბიოტიპებისა და მათი ცალკეული კომპონენტების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს დაცვა, აღდგენა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;

ბ) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით ხელი შეუწყოს ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული ჯავახეთის ზეგნის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიებისა და ჰაბიტატების დაცვასა და აღდგენას;

გ) უზრუნველყოს მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და ამ რესურსებით რაციონალური სარგებლობა; ეკოლოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევა-ძიებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება; ვულკანური წარმოშობის ბუნებრივი წყლის ობიექტების (ტბების) ბუნებრივი ბიოეკოლოგიური რეჟიმის დაცვა და მათზე მონიტორინგის განხორციელება;

დ) ხელი შეუწყოს ბუნებრივ და ადამიანის მიერ სახეცვლილ გარემოში რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნას.

### მუხლი 3. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების კატეგორიები

ჯავახეთის დაცული ტერიტორიები საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილია. ჯავახეთის დაცული ტერიტორიები იქმნება ამ კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში და იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ა) ჯავახეთის ეროვნული პარკი;
- ბ) კარწახის ჭაობის აღკვეთილი;
- გ) სულდის ჭაობის აღკვეთილი;
- დ) ხანჩალის ტბის აღკვეთილი;
- ე) ბულდაშენის ტბის აღკვეთილი;
- ვ) მადათაფის ტბის აღკვეთილი;
- ზ) ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა).

**მუხლი 4. ჯავახეთის ეროვნული პარკის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები**  
(22.03.2013 N 383)

1. ჯავახეთის ეროვნული პარკი იქმნება ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 13498,02 ჰექტარს.

2. ჯავახეთის ეროვნული პარკი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

ა)

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	372973	4560972	32	369116	4566387	63	353651	4566290	94	365496	4565144
2	372864	4559800	33	369016	4567102	64	364844	4568797	95	365738	4565078
3	373106	4558565	34	369199	4567646	65	358775	4565127	96	365585	4564802
4	373162	4557360	35	368385	4567790	66	374284	4555978	97	365457	4564828
5	374187	4556270	36	367792	4567959	67	374128	4556098	98	363148	4567970
6	374480	4556070	37	367075	4568770	68	374295	4556197	99	363266	4567968
7	375060	4555856	38	366654	4568522	69	357716	4563604	100	363311	4567759
8	375447	4555431	39	365826	4568250	70	357870	4563509	101	363273	4567700
9	375559	4555189	40	365443	4568591	71	357914	4563482	102	363212	4567684
10	375304	4554899	41	364360	4568765	72	357548	4562876	103	363176	4567700
11	375900	4555149	42	363828	4568685	73	357317	4562996	104	363128	4567920
12	376437	4555374	43	363294	4568605	74	357360	4563076	105	357693	4563619
13	374416	4565283	44	363227	4568391	75	357363	4563167	106	350467	4566371
14	373189	4563993	45	362946	4568551	76	357312	4563158	107	349315	4566253
15	373019	4564560	46	362360	4568370	77	357303	4563169	108	353531	4566406
16	372337	4564074	47	362120	4567767	78	357518	4563337	109	353199	4566477
17	372053	4563367	48	361832	4567041	79	357399	4562953	110	351381	4566564
18	371526	4562777	49	361783	4566648	80	357412	4562946	111	352829	4566522
19	371190	4562842	50	361065	4566191	81	357227	4562460	112	374569	4563728
20	370883	4561985	51	360235	4566432	82	357210	4562260	113	373678	4562924
21	370577	4561129	52	359504	4566560	83	357167	4561562	114	373445	4562254
22	370271	4560273	53	359264	4566022	84	357168	4561049	115	373281	4561673
23	369723	4560434	54	359088	4565494	85	357154	4561049	116	374126	4563346
24	368422	4560913	55	357982	4564169	86	357171	4561242	117	373796	4564545
25	368536	4561619	56	357590	4564426	87	375128	4563927	118	374179	4564935
26	368622	4562329	57	357425	4564335	88	359044	4565108	119	372520	4558095
27	368728	4563037	58	357305	4564402	89	359044	4565096	120	376507	4554227
28	368799	4563747	59	356579	4564789	90	358787	4565062	121	373150	4558956
29	368832	4564461	60	355856	4565173	91	358788	4565075	122	372768	4560465
30	368879	4565174	61	355132	4565559	92	358940	4565281	123	372755	4560192

31	368891	4565890	62	354397	4565919	93	358922	4565295	124		
----	--------	---------	----	--------	---------	----	--------	---------	-----	--	--

ბ) ჯავახეთის ეროვნული პარკის საზღვარი წერტილიდან (გეოგრაფიული კოორდინატები: X349315,3, Y4566253,03) წერტილამდე (გეოგრაფიული კოორდინატები: X357153,61, Y4561049,36) და წერტილიდან (გეოგრაფიული კოორდინატები: X357167,6, Y4561049,13) წერტილამდე (გეოგრაფიული კოორდინატები: X376507,13, Y4554227,35) მიუყვება საქართველოს სახელმწიფო საზღვარს.

**მუხლი 5. კარწახის ჭაობის აღკვეთილის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები**  
(22.03.2013 N 383)

1. კარწახის ჭაობის აღკვეთილი იქმნება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 157,5 ჰექტარს.

2. კარწახის ჭაობის აღკვეთილი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	356081	4567738	9	358107	4567654	17	356737	4566817	25	356740	4567129
2	356065	4567753	10	358150	4567426	18	356718	4566856	26	356733	4567128
3	356131	4567794	11	358065	4567265	19	356725	4566874	27	356709	4567304
4	356599	4567974	12	357443	4566939	20	356724	4566896	28	356578	4567460
5	356782	4567996	13	357441	4566916	21	356732	4566906	29	356448	4567595
6	357197	4567946	14	357145	4566709	22	356769	4567000			
7	357910	4567908	15	357024	4566735	23	356746	4567130			
8	357910	4567908	16	356873	4566753	24	356741	4567131			

**მუხლი 6. სულდის ჭაობის აღკვეთილის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები**  
(22.03.2013 N 383)

1. სულდის ჭაობის აღკვეთილი იქმნება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 309,3 ჰექტარს.

2. სულდის ჭაობის აღკვეთილი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	361624	4571512	34	361879	4570740	67	359766	4572798	100	360336	4572188
2	361630	4571534	35	361705	4570777	68	359769	4572803	101	360380	4572199
3	361645	4571529	36	361666	4570718	69	359768	4572810	102	360414	4572178
4	361663	4571543	37	361804	4570584	70	359757	4572818	103	360435	4572182
5	361700	4571533	38	361650	4570276	71	359762	4572832	104	360461	4572171
6	361704	4571549	39	361571	4570336	72	359791	4572824	105	360532	4572152
7	361718	4571544	40	361298	4569975	73	359793	4572814	106	360556	4572118
8	361731	4571550	41	361298	4569975	74	359787	4572810	107	360553	4572098
9	361740	4571547	42	361298	4569975	75	359790	4572801	108	360549	4572096
10	361763	4571550	43	360862	4570444	76	359788	4572794	109	360548	4572093
11	361774	4571545	44	360849	4570529	77	359791	4572791	110	360608	4572027
12	361795	4571550	45	360689	4570519	78	359840	4572784	111	360719	4571973
13	361796	4571565	46	360518	4570678	79	359850	4572784	112	360723	4571857
14	361817	4571592	47	360017	4571412	80	359864	4572766	113	360712	4571826
15	361827	4571594	48	360001	4571416	81	359870	4572772	114	360737	4571767

16	361834	4571613	49	359903	4571848	82	359896	4572730	115	360734	4571729
17	361917	4571636	50	359938	4571896	83	359941	4572687	116	360744	4571716
18	361920	4571635	51	359969	4572023	84	359999	4572665	117	360885	4571713
19	361933	4571648	52	359910	4572194	85	360147	4572490	118	361013	4571649
20	361929	4571653	53	359398	4572564	86	360189	4572443	119	361016	4571643
21	361987	4571658	54	359435	4572693	87	360226	4572442	120	361164	4571597
22	362219	4571618	55	359251	4572765	88	360241	4572431	121	361169	4571593
23	362219	4571618	56	359246	4572785	89	360266	4572371	122	361317	4571559
24	362324	4571430	57	359285	4572846	90	360274	4572376	123	361331	4571561
25	362324	4571413	58	359431	4572851	91	360289	4572367	124	361343	4571555
26	362267	4571248	59	359452	4572842	92	360257	4572337	125	361621	4571510
27	362267	4571248	60	359465	4572854	93	360287	4572329			
28	362192	4571280	61	359500	4572865	94	360321	4572347			
29	362098	4571032	62	359547	4572922	95	360331	4572328			
30	362183	4571005	63	359619	4572930	96	360313	4572281			
31	362077	4570731	64	359680	4572904	97	360312	4572258			
32	361946	4570840	65	359704	4572870	98	360322	4572256			
33	361879	4570740	66	359745	4572839	99	360334	4572237			

**მუხლი 7. ხანჩალის ტბის აღკვეთილის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები**  
(22.03.2013 N 383)

1. ხანჩალის ტბის აღკვეთილი იქმნება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 727,3 ჰექტარს.

2. ხანჩალის ტბის აღკვეთილი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	378439	4566242	28	377586	4567509	55	379138	4569542	82	380252	4567762
2	378402	4566275	29	377562	4567534	56	379147	4569463	83	380210	4567435
3	378417	4566353	30	377415	4567854	57	379130	4569394	84	380216	4567429
4	378499	4566459	31	377375	4568017	58	379167	4569366	85	380179	4567397
5	378625	4566515	32	377262	4568099	59	379258	4569396	86	380154	4567416
6	378645	4566571	33	377235	4568073	60	379264	4569410	87	380056	4567345
7	378519	4566624	34	377230	4568051	61	379285	4569408	88	380044	4567355
8	378301	4566637	35	377146	4567976	62	379315	4569425	89	379964	4567389
9	378255	4566584	36	377124	4567984	63	379396	4569312	90	379951	4567379
10	378175	4566561	37	377116	4568008	64	379373	4569296	91	379968	4567334
11	377961	4566797	38	377167	4568120	65	379420	4569230	92	379948	4567231
12	377959	4566809	39	377221	4568099	66	379445	4569242	93	379784	4567037
13	377947	4566818	40	377235	4568114	67	379553	4569109	94	379779	4567013
14	377932	4566821	41	377077	4568227	68	379763	4568718	95	379470	4566684
15	377927	4566835	42	376798	4568545	69	379678	4568624	96	379399	4566551
16	377963	4566898	43	377409	4569050	70	379744	4568579	97	379227	4566437
17	377963	4566924	44	378434	4569805	71	379762	4568590	98	379176	4566445
18	377942	4566966	45	378426	4569867	72	379867	4568488	99	379173	4566390
19	377913	4566971	46	378503	4569890	73	379904	4568516	100	379173	4566390
20	377857	4567024	47	378483	4569826	74	379981	4568406	101	378984	4566417
21	377776	4567058	48	378504	4569821	75	379983	4568379	102	378903	4566391

22	377752	4567157	49	378531	4569877	76	379993	4568289	103	378873	4566411
23	377687	4567253	50	378584	4569863	77	380100	4568191	104	378864	4566401
24	377670	4567305	51	378626	4569807	78	380171	4568120	105	378885	4566379
25	377626	4567304	52	378861	4569706	79	380248	4567977	106	378595	4566209
26	377604	4567407	53	378939	4569687	80	380253	4567971			
27	377578	4567458	54	379028	4569612	81	380253	4567971			

**მუხლი 8. ბულდაშენის ტბის აღკვეთილის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები**  
(22.03.2013 N 383)

1. ბულდაშენის ტბის აღკვეთილი იქმნება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 119,3 ჰექტარს.

2. ბულდაშენის ტბის აღკვეთილი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	389955	4562133	8	389868	4561344	15	389253	4561494	22	388724	4562070
2	390017	4562145	9	389915	4561306	16	389217	4561505	23	388703	4562092
3	390289	4562032	10	389852	4561242	17	389212	4561581	24	389325	4562565
4	390199	4561685	11	389786	4561276	18	389185	4561597	25	389386	4562560
5	389958	4561362	12	389732	4561280	19	389085	4561563	26	389470	4562366
6	389860	4561437	13	389685	4561313	20	388802	4561809	27	389622	4562319
7	389843	4561417	14	389417	4561368	21	388690	4562011			

**მუხლი 9. მადათაფის ტბის აღკვეთილის მდებარეობა, ფართობი და საზღვრები**  
(22.03.2013 N 383)

1. მადათაფის ტბის აღკვეთილი იქმნება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში მოქცეულ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 1398 ჰექტარს.

2. მადათაფის ტბის აღკვეთილი მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	396124	4561042	54	399470	4559727	107	400463	4558694	160	396777	4558706
2	396173	4561040	55	399437	4559723	108	400605	4558665	161	396764	4558675
3	396227	4561028	56	399444	4559760	109	400610	4558653	162	396718	4558660
4	396231	4561025	57	399454	4559783	110	400577	4558619	163	396657	4558689
5	396268	4561074	58	399430	4559777	111	400455	4558069	164	396644	4558690
6	396288	4561153	59	399377	4559745	112	400171	4557551	165	396621	4558721
7	396314	4561205	60	399360	4559756	113	400084	4557507	166	396594	4558732
8	396289	4561222	61	399326	4559786	114	399939	4557471	167	396580	4558716
9	396288	4561224	62	399316	4559787	115	399585	4557567	168	396582	4558702
10	396313	4561237	63	399289	4559754	116	399460	4557422	169	396602	4558687
11	396383	4561367	64	399267	4559744	117	399361	4557431	170	396612	4558668
12	396362	4561388	65	399266	4559719	118	399309	4557446	171	396649	4558575
13	396321	4561391	66	399310	4559677	119	399308	4557418	172	396594	4558514
14	396255	4561437	67	399223	4559651	120	399232	4557325	173	396585	4558514
15	396244	4561428	68	399140	4559463	121	399228	4557329	174	396433	4558617
16	396283	4561523	69	399130	4559338	122	399212	4557316	175	396338	4558661
17	396677	4562289	70	399066	4559279	123	399193	4557329	176	396276	4558631
18	396677	4562289	71	399039	4559278	124	399162	4557302	177	396258	4558614

19	396937	4562300	72	399052	4559236	125	399169	4557295	178	396193	4558618
20	397004	4562323	73	399087	4559239	126	399140	4557268	179	396193	4558618
21	397091	4562437	74	399154	4559291	127	399132	4557276	180	396027	4558931
22	397279	4562342	75	399202	4559266	128	399064	4557231	181	396038	4558936
23	397409	4562393	76	399223	4559199	129	398892	4557332	182	396033	4558946
24	398313	4561792	77	399794	4558720	130	398899	4557364	183	396018	4558949
25	398193	4561644	78	399847	4558707	131	398741	4557511	184	395620	4559668
26	398293	4561552	79	399891	4558737	132	398702	4557558	185	395622	4559681
27	398649	4561556	80	399969	4558744	133	398434	4557568	186	395617	4559688
28	398960	4561175	81	399908	4558810	134	398360	4557618	187	395611	4559684
29	399025	4560564	82	399924	4558864	135	398303	4557727	188	395525	4559825
30	398950	4560389	83	399943	4558861	136	398045	4557823	189	395097	4560313
31	398850	4560339	84	399946	4558871	137	397838	4557908	190	395098	4560328
32	398519	4560439	85	399926	4558886	138	397806	4557906	191	395091	4560334
33	398479	4560078	86	399932	4558901	139	397687	4557963	192	395084	4560328
34	398684	4559753	87	399984	4558929	140	397512	4558220	193	395014	4560402
35	398746	4559742	88	399985	4558944	141	397478	4558209	194	395004	4560394
36	399446	4560212	89	399954	4558953	142	397391	4558338	195	394895	4560503
37	399591	4560128	90	399934	4558980	143	397335	4558343	196	394865	4560513
38	399462	4559957	91	399940	4559001	144	397255	4558488	197	394872	4560541
39	399582	4559852	92	399966	4559019	145	397241	4558553	198	395169	4560538
40	399582	4559808	93	399956	4559042	146	397221	4558553	199	395438	4560438
41	399561	4559797	94	400011	4559070	147	397195	4558602	200	395455	4560418
42	399549	4559799	95	400000	4559086	148	397193	4558651	201	395534	4560407
43	399545	4559795	96	399985	4559091	149	397145	4558673	202	395608	4560594
44	399535	4559798	97	399972	4559110	150	397108	4558701	203	396103	4560902
45	399527	4559791	98	399984	4559126	151	397006	4558713	204	397776	4561301
46	399507	4559805	99	400009	4559131	152	396937	4558779	205	397850	4561405
47	399496	4559799	100	400038	4559089	153	396909	4558848	206	397832	4561413
48	399496	4559787	101	400059	4559094	154	396877	4558846	207	397765	4561307
49	399504	4559780	102	400086	4559129	155	396847	4558801			
50	399491	4559759	103	400104	4559159	156	396821	4558792			
51	399488	4559738	104	400108	4559157	157	396794	4558808			
52	399481	4559735	105	400124	4559023	158	396779	4558803			
53	399477	4559737	106	400290	4558840	159	396768	4558760			

**მუხლი 9<sup>1</sup>. ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის (დამხმარე ზონის) მდებარეობა (22.03.2013 N 383)**

ჯავახეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (დამხმარე ზონა) მოიცავს შემდეგ დასახლებულ პუნქტებს:

- ა) ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფლები:
  - ა.ა) სულდა;
  - ა.ბ) კარწახი;
  - ა.გ) ბოზალი;
  - ა.დ) დადემი;
  - ა.ე) მიასნიკიანი;

- ა.ვ) ფილიპოვკა;
- ბ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლები:
- ბ.ა) პატარა ხანჩალი;
- ბ.ბ) ქდანოვი;
- ბ.გ) ეფრემოვკა;
- ბ.დ) სამეზა.

### **მუხლი 10. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების დაცვისა და გამოყენების რეჟიმი**

1. ამ კანონის მე-3 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დაცულ ტერიტორიებზე დაშვებული საქმიანობა, მათი დაცვისა და გამოყენების რეჟიმი (მათ შორის, დაცული ტერიტორიების ტერიტორიულ-ფუნქციური ორგანიზება – ზონირება) განისაზღვრება ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შესაბამისად. (22.03.2013 N 383)

2. ამოღებულია (22.03.2013 N 383)

3. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ფარგლებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და ზოლში სამეურნეო საქმიანობა ხორციელდება „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დადგენილი სასაზღვრო ზონისა და ზოლის რეჟიმის შესაბამისად.

4. ჯავახეთის დაცული ტერიტორიებისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები გასხვისებას არ ექვემდებარება.

### **მუხლი 11. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მართვა**

1. ამ კანონის მე-3 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დაცული ტერიტორიების მართვა ხორციელდება „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. ამ კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაცული ტერიტორიის მართვას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები.

### **მუხლი 12. ქონებრივი ურთიერთობები, სასარგებლო წიაღისეულითა და სხვა**

#### **ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები**

#### **ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე**

ეს კანონი არ ვრცელდება ამავე კანონით დადგენილი საზღვრების ფარგლებში ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ:

ა) ქონებრივ ურთიერთობებზე (მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვის, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, გაცვლის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის, იპოთეკისა და იჯარით გაცემის შემთხვევაში არსებულ ურთიერთობათა ჩათვლით);

ბ) სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე;

გ) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებებით ან/და გაცემული ლიცენზიებით განსაზღვრულ ურთიერთობებზე.

### **მუხლი 13. გარდამავალი დებულებანი (22.03.2013 N 383)**

1. 2016 წლის 1 ივნისამდე „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლით განსაზღვრული კატეგორია არ ვრცელდება ჯავახეთის ეროვნული პარკის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობია 13,2 ჰექტარი და რომელიც მოიცავს შემდეგ გეოგრაფიულ კოორდინატებს:

№	X	Y	№	X	Y	№	X	Y	№	X	Y
1	357402	4563243	16	357365	4562697	31	357281	4562141	46	357637	4561748
2	357315	4563177	17	357336	4562707	32	357246	4562131	47	357269	4561508
3	357204	4563356	18	357342	4562672	33	357247	4562109	48	357334	4561507
4	357152	4563270	19	357141	4562612	34	357277	4562097	49	357203	4561440
5	357362	4563155	20	357194	4562604	35	357053	4561928	50	357120	4561334
6	357359	4563076	21	357134	4562546	36	357098	4561929	51	357116	4561370
7	357294	4563053	22	357189	4562543	37	357068	4561868	52	357087	4561351
8	357316	4562996	23	357252	4562461	38	357107	4561887	53	356897	4561213
9	357284	4562981	24	357310	4562457	39	357285	4561826	54	356873	4561235
10	357324	4562918	25	357251	4562403	40	357275	4561798	55	356861	4561197
11	357288	4562932	26	357308	4562403	41	357337	4561786	56	356892	4561200
12	357343	4562759	27	357108	4562314	42	357338	4561816	57	356930	4561050
13	357376	4562754	28	357155	4562308	43	357667	4561804	58	356959	4561057
14	357347	4562735	29	357101	4562254	44	357629	4561775			
15	357375	4562726	30	357151	4562251	45	357685	4561744			

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერიტორია 2016 წლის 1 ივნისამდე სამართავად გადაეცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტერიტორია გასცეს მხოლოდ დროებით სარგებლობაში (სასყიდლით ან უსასყიდლოდ). ამ ტერიტორიით სარგებლობის ვადად განისაზღვროს პერიოდი 2016 წლის 1 ივნისამდე.

**მუხლი 14. დასკვნითი დებულებანი**

1. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 28 ოქტომბრის №794 დადგენილება „ჯავახეთის ზეგანზე მდებარე განსაკუთრებული ეკოლოგიური მნიშვნელობის მქონე წყალსატევების დაცვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

*მიხეილ სააკაშვილი*

თბილისი,  
2011 წლის 22 მარტი.  
№4459-IX